

ქართული
ბიბლიოთეკა

თბილისი
ქ. მ. ჯ. ბაქრაძის ქ. 56
ქართული ბიბლიოთეკა



ქართველები პოლგა-დონუა

„...ჩვენს ქვეყანაში ხალხი ხალხს უეუერთა ძმობით და სიყვარულით... ზღვა—ზღვას, მდინარე—მდინარეს! ეს მართლაც ხანაღხო ზეიშია,—ზღვა სიხარული!..“

სხვებთან ერთად მეც ხომ აქ ვმუშაობ, ხაყვარედლო ძმავ, მეც ერთგულად ვისწრაფვოდი მდინარე დონის და ჩემი დონის ასამაღლებლად...“
ძმის წერილიდან

ნ ი ა ნ ბ ი

№ 14 თბილისი ივლისი 1952 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXX. ფასი 2 მან.

ნახ. მ. თბარ-ცაა

ჩვენთვის, პარიზიდან ასე შორს მცხოვრებთათვის, რა საკვირველია ძნელია ვიცოდეთ იმის ზუსტი მნიშვნელობა რომ ვერ გამოძებნა რამდენიმე წუთი საფრანგეთის პრეზიდენტმა ვენსან ორიოლმა, ზემო სავოიის დეპარტამენტის სოფელ ტინიდან ჩამოსულ დელეგაციასთან შესახვედრად.

მაგრამ განა ცოტა თავშისაყვამ აქვს სახელმწიფოს მეთაურს! ამერიკელი სენატორები მორიგ ინსპექტირებას ატარებენ. ვიეტნამში კიდევ ერთი ფრანგული გარნიზონი ჩავარდა ტყვედ. სტუმრად ჩამოსულ ოკეანისკენ მილიონერ პარიზის პარიზის სასტუმროდან გაეპარა ცელქი ცუგრა და პოლიციის პრეფექტი უკვე მესამე დღეა სასიხარულოს ვერაფერს იტყობინება ამ ფრიალ სერიოზულ საქმის შესახებ...

ერთი სიტყვით, ტინელი გლეხები პრეზიდენტთან შეხვედრას მოითხოვდნენ, პრეზიდენტი კი ჯორჯე იჯდა.

რა აწუხებდათ ზემო სავოიელ მწყემსებს? ეს რომ ნათელი გახდეს, ისევ პრეზიდენტის პასუხს გავეცნოთ:

„კაშხალის მშენებლობის დამთავრება მოითხოვს მცხოვრებთა ევაკუაციას. მე გამოვთქვამ ჩემს ღრმა სიმპათიას და თავს ვალდებულად ვგრძობ განვაცხადო, რომ მთავრობა და სამშობლო არ დაიფიცებენ თქვენს მიერ გაღებულ მსხვერპლს“...

ამბავი რომ უფრო ნათლად გასაგები იყოს, შემდეგი უნდა გავიხსენოთ: ჯერ კიდევ ომის დამთავრების პირველ დღეებში, როცა მთავრობაში წინააღმდეგობის გამორევი მონაწილეობდნენ, კომუნისტმა მინისტრებმა წამოაყენეს სავოიის შთის მდინარეების დამორჩილების გაბედული გეგმა.

ამისათვის, ჩენი, საბჭოთა გაგებით, ბევრი რამ არ იყო საჭირო. წყლის ბუნებრივი ქვაბურის გამოსასვლელი კაშხალით უნდა ჩაეკეტათ და რაკი სოფელი ტინი წყალს უნდა დაეფარა, მისი მცხოვრებლები ახალ ადგილას გადაესახლებინათ.

ტინელი გლეხები დიდ პრეტენზიას არ აცხადებდნენ, დათანხმდნენ გადასახლებაზე. ხარჯის გაღებას მთავრობა კისრულობდა.

დაიწყო თუ არა კაშხალის მშენებლობა, საფრანგეთს თავს დაატყდა ამერიკული ოკუპაცია. კომუნისტები მთავრობის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და ომით დანგრეულ საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენაც შეჩერდა.

კაშხალის აგება კი ამერიკული ტემპით მიმდინარეობდა. თუ გავიხსენებთ, რომ ამერიკაში, მდინარე კოლორადოზე კაშხალის ასაშენებელ პროექტის შედგენას 9 წელიწადი დასჭირდა, მდინარე ტენესზე კი 35 წელიწადია გრძელდება მუშაობა და თვალსაჩინო შედეგი ჯერ კიდევ არა სჩანს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სავოიის მთებში აღებული ტემპები ზღაპრულად სწრაფი იყო. ბეტონის კაშხალი აღიმართა სულ რაღაც... 5 წელიწადში.

მაგრამ მიდგა თუ არა ჯერი ტინელი გლეხების გადასახლებაზე, ამერიკელთა განკარგულებით, ახალი სოფლის აშენება უარყოფილი იქნა. გლეხებს წინადადება მისცეს წაბრძანებულიყვნენ საითაც ნებადართ და ზარალის ასანაზღაურებლად შესთავაზეს ფული 24-დან 80 ათას ფრანკამდე. ამ ფრანკის ღირებულება კი კაპიკზე ცოტა მეტი გახლავთ.


— ჩვენ არსადაც არ წავალთ, — განაცხადეს შეურაცხყოფილმა გლეხებმა, — დე, წყალმა წაგვიღოს!

და განწირულმა ტინელებმა უკანასკნელი კაპიკებით დელეგაცია გაგზავნეს ვენსან ორიოლთან.


შედეგი? პარიზიდან ავტომობილებით მოვიდა „რესპუბლიკის უნი-შროების ასეულეები“. გათენებისას ხუთასი თავზნელადგებული ავტომობილებით, ბომბებითა და ცრემლსადენ გაზებით დაესხა თავს ტინელებს, მათ ქოხებს ნალმები ჩაუწყეს და... საგუბრიდან წყალი დაიძრა...

აღსანიშნავია, რომ სოფელ ტინის უკანასკნელი ქოხები წყლით მაშინ დაიფარა, როცა ციმლიანსკის ახალდადგებულ ზღვის ნაპირებზე ახალდასახლებას დღესასწაულობდა ქვიშნარ, მოუსავლიან ადგილებიდან გამოყვანილი 11.000 კოლმეურნის ოჯახი.


ა. მუხაჩე



სურ. № 1



სურ. № 2



სურ. № 3

ჩვენი სოფლის სურათები



პოლიტსაბოთი ყანაში

ჩემი სუნთქვით ღვივის დილა,
ჭაღებს ნისლი მოჭფენია,
ბილიკების იქით, სერზე
ჩვენი მყუდრო სოფელია.

ფრთხილად ხეხილნარი
დაპრიადებს ოდა-სახლებს,
მათი შორი დანახვაც-კი
გულს ხადისით გაგიახლებს!

იქ ხომ ჩვენი ოცნებაა,
ჩვენი ტკბილი დედულეთი,
მთელს ქვეყანას მეც პირველად
იმ სერიდან შევყურებდი.

ჩაბადახებს იმერულად
ისე შიდან სიმინდები,
ისეთ „ნადურს“ გაიგონებ,
შორს რომ იყო, — მიფრინდები!

იქ ხომ ახლაც განუყოფელ
წყვილად გამოხატულია —
ჩემი ბრძენი ბაადური,
ჩემი კბილა ბაადულია...

იმ სოფელში კაცს ვერ ნახავ,
რომ ორივე არ უყვარდეს,
იმ სოფელში კაცს ვერ ნახავ
ბალიც მათებრ აუყვავდეს!

აი, ახლაც ყრუდ რომ ისმის,
მათი ტკბილი „ნადურია“,
ყანას თოხნის ბაადური,
ყანას თოხნის ბაადულია!

წუთის წინ კი, ვიცი, ჰქონდათ
სჭა-ბაასი გამართული,
და შეწყვეტილ ამბავს, აღბათ,
დაამთავრებს ბაადური,

ყანა რაა, — გეგონება
მთელ ქვეყანას ამოროდებს, —
— აი, ბიჭო, ატრუებულ
ტრუმენს ეს ღლე ამოროტებს! —



ამბობს დინჯად ბაადური,
ეთანხმება ბაადულია, —
მერე ისევ ხელჩართული
თოხნაა და ნადურია...

მერე ისევ ახსენდებათ
ჩერჩილი და მაკარტური,
თითქოს აქვე ფესვებსა და
ბუღტებშია ჩაფანტული!

რიჭუეის ჭირი მოაქვს,
აჩესონი ომს აჩენსო,
მაგრამ ვერსად ვერ წაუვა
ბაადურის განაჩენსო...

პრეზიდენტის არჩევნებში
ერკვევიან ისე, თითქოს
ბროდვეი და უოლ-სტრიტი
ამ ორლობის გვერდით იყოს!

ხოლო კვადს რომ გაიტანენ
სიტყვაც ღიმილ-ჩართულია, —
უღვაშს იგრესს ბაადური,
კუფას იფხანს ბაადულია!

და თოხს ისევ თოხი მისდევს,
სიტყვას — სიტყვა, წუთი — წუთებს, —
გღეხი კაცის მარჯვე სიტყვა
ყანას მარჯვე ხელით უტევს!

ხოლო მზე რომ ამალდებდა
თვალს იტაცებს გრილი ჩერო,
ერთი წამით, არ იქნება,
შრომა რომ არ შეაჩერონ.

სიმინდებში აღარ ისმის
თოხის ხმა და ეღი-ეღა!
სადმე, ყანის განაპირად
დაშრილებთ თავზე თელა.

უკვე დროა, და ძველ გაზეთს
ყურს ჩამოხვეს ბაადური,
ჩაცუქტება ბაადულიც
იქვე. სახეგამადრული,

ძველ გაზეთში ხვევენ თუთუნს,
რომ ხადისით გააბოლონ, —
ყოველდღიურ საუბარის
ასეთია მუდამ ბოლო!..

მაგრამ როცა ბაადური
დასვენებით გართულია, —
პოლიტიკურ გამოცანას
შეაპარებს ბაადულია:

ერთხელ, თურმე დამშობილდნენ
ერუ ღომი და ერუ მეღია...
(ბაადური უკვე ფიქრობს:
ჩერჩილი და ტრუმენია!)

ცეცხლით დამწვარ საქათმეში
ღაინახეს ერთი კრუხი...
(ბაადური ეთანხმება:
ჭიტლერივით არის რუხი...)

შეიპყრეს და უთხრეს: — კრუხო,
თუ გსურს კბილი აგაცილოთ...
(ბაადური იღიმება,
სჩანს, არ ყოფნის სასაცილოდ).

დაჭდები და დაგვიჩეკავ
კვლავ მოჩხუბარ მამლაყინებს, —
შენს მეზობლად დადის სპილო,
სადაც არის ომს დაგვიწყებს!...

(ბაადური დასძენს: სპილოს
უკვე გაუმარჯვებია! —
იქ კი ხელშეკრულებითაც
ხელშეკრული დარჩებიან!...)

პაპიროსის ნამწვავს, უცებ,
ფეხით აჭრობს ბაადულია, —
— კაცს პირიდან სიტყვას მართმეც
სადაური ქართულია!

ბაადურს კი ეცინება,
ულაჟლაქებს წითლად ღოყა, —
— შენ ხომ თოხიც გემძიმება,
თუმც არაა სამი ოყა...!

წამოდექი, ყანა ისევ
კრიმანჭულით ვამოროდოთ! —
ჩვენი ქვეყნის გასახარად,
ჩვენი მტრების საბოროტო!

ბაადულია ახტა კიდეც,
მაგრამ ყანა აპრიადდა
და გამოჩნდა სიმინდებში
აღისფერი კაბის კალთა!

ეს მეზობლის გოგონაა,
მუდამ გულს რომ უთამაშებს,
ბაადულიას შორიდანვე
სავსე კალათს უთავაზებს!

შეჭამანდი მოაქვს ჭამით,
ტუმრიტებიც ღოქით — ღვინო, —
თავისუფალ შრომის შემდეგ
საღბინო და საღიღინო!

და დაუდგა დასასრული
პოლიტიკურ საუბარსაც...
წვერ-უღვაში ბაადულიას
ამ წუთისთვის გაუპარსავს! —


თვარი ჰკიდა ბაადურმა,
ბაადულიამ აიცილია...
ასეთია კაცის გული,
ასეთია სოფლის დილა.

ჩემს პატარა პოემასიც
ასე გადმოხატულია
კოლმეურნე ბაადური,
კოლმეურნე ბაადულია!..

დემი-ოდილიაგაძე



კულუკა-დობნეკო მასპინძეობები



მოგესსენებათ როგორი სიხარული იქნებოდა ვოლგისა და დონის შეერთების დროს. მივიღეთ თუ არა ნიანგისგან საგანგებო დავალება მე და ჩვენმა ფორტგრაფმა ცვირაკოშვილმა, იმ წუთიდანვე იმის თადარის შეფუძენით, რომ აქ ჩამოსულ მრავალ სტუმართა შორის როგორც ჩვენც შესაფერისად გამოვჩინოლავით და მასპინძელი უფროდგა მივცეპყრო. უმათერსად გარეგან ეფექტს დავეყარეთ: ტუკი ვიწოვინეთ, ხახა წინანდლთ ამოვფესეთ და პრელ ხურჯინში მივეჭინეთ ბინა, ხურჯინის მეორე თაღი ხაჭაპურ-ნახუთი გავაყეთ და ჩვენს სიხარულს სახელგანთ ალარ ჰქონდა, როცა ჩვენმა მორთულბამ აქვე შეგნმა საოცარი ეფექტი. საღვრში მისულამდ იმომაცამდ უცნობმა მინც გვკითხა:

— საღ იშოვინეთ ტუკი?
 აქ რომ ასეა, იქ, შუა რუსეთში რა იქნება!
 აქედანვე გვიხარია, რომ მასპინძლბითან, ათასობით სტუმართა შორის ორი თბილისელი ვიქნებით და ყველა ჩვენ დაგვწყობს უწყობას.
 მაგრამ ჩვეულებით: ვოლგა-დონის დიად მშენებლობაზე ათასი კუთხიდან ჩამოსულს მოუყრია თავი. რუსსა და უკრაინელს, ბელორუსსა და აზერბაიჯანელს, ტაჯიკსა და სომებს შრომის ერთი ფრ-ბული აქეთ განათული და საერთო ისტორიულ ძეგლს დავართიანებულთ ძალით ავებინ. აბა, ჩვენი მორთულ-მოკაზმულობა აქ ვის გააკვირვებდა!

ჩვენი გულბურჯიელი მოლოდინი ვი მოლიანად მაშინ ვაქარწყულა, როცა ვოლგა-დონის მშენებლობის შტაბში, ჰალაქ კალაჩნი, პირველივე შემხედირისაგან ონდამ დამტრეფული ქართული სიტყვები გავიგინეთ:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!
 ჩვენი გამკვირებული ავტოსარემონტო ქარხნის მუშაკი გასულ მაღ ახალი მასპინძელი გამოინდა.
 — გაიცანით, — გვითხრა აბრამ ბუთლაშვილმა, — მოვარ-მოდგა, ულანისკელი ინჟინერი სერგეი კოვეშინი.
 — თბილისში გიციოვრიათ? — შევკითხეთ სერგეის.
 — თბილისელბთან გიცოვრია? — ღიმილით მოვგვფო მან დ მის მიერ ქართული სიტყვების შესწავლა მაშინვე ვასაგები ვახდი, როგორც კი ავტოსარემონტო ქარხნის ტერიტორიას ფეხი დავადედი და ამ ქარხნის დირექტორი, ვიქარელი აბრამ ბუთლაშვილი შემოგვკვივბა:

— თქვენი გამარჯვება იყოს, ბებეგო!
 მან თავის კაბინეტში შევეყვანა და სიამაყით ველოდით ვ წუთს, როდესაც ბუთლაშვილს გავახარებდით წინანდალზე ჩამოვ გვბეზული ალაპარაკითა, ჩვენ ხურჯინს დავყურებდით, ბუთლაშვილს კი კედელზე ჩამოკიდებულ საპატო სიგელს ვახედა და ღიმილით გვითხრა:

— ეს მიეჭეს საპატო სიგელი. ვოლგა-დონის მშენებლობისათვის საუფეთესოდ დანშარების გამო მილო ჩვენმა ქარხანამ ერთი სიტყვით, მრავალ მიზნებ გვექს ზეიმისათვის, ამხანაგებო. საღამოს ჩემმა შეყრკითით, ისეთი გურჯანული მაქვს, სულს ჩა აყოლებუთ...

აბრამ ბუთლაშვილს ვიხოვით ზეიმის დაწყებამდე ვოლგა-დონელი მასპინძლბი გვეცნო.
 ვოლგა-დონელი მასპინძლბი? — ღიმილით იკითხა მან. — რომელთა შორის უნდა გავაცნობთ, ისინი ათასობით არიან! — რამდენიმე კაცი მინც გავაცანით, უხერხულია, აქედან ისე ვერ ვაგათო. — დავიხებეთ ჩვენი.

ბუთლაშვილმა თანხმობა გამოთქვა, ტელეფონით დარეკა და მალე ახალი მასპინძელი გამოინდა.

— გაიცანით, — გვითხრა აბრამ ბუთლაშვილმა, — მოვარ-მოდგა, ულანისკელი ინჟინერი სერგეი კოვეშინი.
 — თბილისში გიციოვრიათ? — შევკითხეთ სერგეის.
 — თბილისელბთან გიცოვრია? — ღიმილით მოვგვფო მან დ მის მიერ ქართული სიტყვების შესწავლა მაშინვე ვასაგები ვახდი, როგორც კი ავტოსარემონტო ქარხნის ტერიტორიას ფეხი დავადედი და ამ ქარხნის დირექტორი, ვიქარელი აბრამ ბუთლაშვილი შემოგვკვივბა:
 — თქვენი გამარჯვება იყოს, ბებეგო!
 მან თავის კაბინეტში შევეყვანა და სიამაყით ველოდით ვ წუთს, როდესაც ბუთლაშვილს გავახარებდით წინანდალზე ჩამოვ გვბეზული ალაპარაკითა, ჩვენ ხურჯინს დავყურებდით, ბუთლაშვილს კი კედელზე ჩამოკიდებულ საპატო სიგელს ვახედა და ღიმილით გვითხრა:

— ეს მიეჭეს საპატო სიგელი. ვოლგა-დონის მშენებლობისათვის საუფეთესოდ დანშარების გამო მილო ჩვენმა ქარხანამ ერთი სიტყვით, მრავალ მიზნებ გვექს ზეიმისათვის, ამხანაგებო. საღამოს ჩემმა შეყრკითით, ისეთი გურჯანული მაქვს, სულს ჩა აყოლებუთ...

აბრამ ბუთლაშვილს ვიხოვით ზეიმის დაწყებამდე ვოლგა-დონელი მასპინძლბი გვეცნო.
 ვოლგა-დონელი მასპინძლბი? — ღიმილით იკითხა მან. — რომელთა შორის უნდა გავაცნობთ, ისინი ათასობით არიან! — რამდენიმე კაცი მინც გავაცანით, უხერხულია, აქედან ისე ვერ ვაგათო. — დავიხებეთ ჩვენი.

— როგორც კი აქ მოხარბის მოერჩებით, კოშენიზმის სხვა რომელიმე დიად მშენებლობაზე წავალ, საშუალო დიმილით გვეთხრა ლალო საღარაძემ.

— სახელდობრ რომელ მშენებლობაზე? — შევკითხეთ ჩვენ.
 — ასესხე მისმა მეგობარმა ყახანო ვახტაძემ.
 — ეს მივავზე არ ანის დამოკიდებულებით, მაგის ერთი ყახანი გოგონა ვადამწყვეტი!
 ახლა კი ვასაგები ვახა ლალო საღარაძის ვაყახებთ...


ვოლგისა და დონის შეერთების დავიწყარად დღეს ჩვენ აქ შევხვდით ინჟინერ ირაკლ ცუცუას. ორი მდინარის შეერთების დროს, როგორც ყველა სხვა, ირაკლ თავდადებულად ვაყვაროდა ავა-შასა, ტხევიდა და ჰკოცნიდა მეგობრებს—ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებს, როცა აღფრთოვანების ტალღა ცოტათოდნად მიხედულა ირაკლ ცუცუამდ მოთლი აილო, ორი მდინარის შეერთებული წყლით აავსო, საცობი გუყვითა და მოგვმართა:

— აი, მეგობრებო, ეს წყალი წილით, მტკიცისა და რიონის სათავეებში ჩაასხით. იგი კასპისა და შავი ზღვით კვლავ ვოლგა-დონის შეერთდება. როცა საქართველოში ჩამოვიდის, დე, ჩვენებურებს უამბოს, თუ როგორ ასრულა მრავალსაუკუნოვანი ოცნება, როგორ შეერთა ორი დიდი მდინარე მრავალკოვანი საქართველოს შეერთებაში!

ვოლგა-დონზე ახალი ზეიმი იყო, სამკოთა ხალხის ახალი ზემის დასაწყისი!

ყოველი კვირადღეობილისის ზღვაზე





საქართველოს ტუნგოს მმართველი გ. ქარჩავა ყოველთვის ტუნგოს მმართველი კი არ ყოფილა. 1949 წელს მას შედარებით საპატიო თანამდებობა ეკავა. მაშინ მისი ხელქვეითი მხოლოდ ტუნგოს მეურნეობებთან კი არ იყვნენ დაკავშირებული. მის ხმას სხვა ძალა ჰქონდა და ბრძანებას სხვა სუსხი.

და აი, ამ გ. ქარჩავას, რომლის ოჯახი სამი სულისაგან შედგებოდა, ორი ოთახი, 60 კვადრატული მეტრის მოცულობით ეცოტავა. საქმე სურვილი იყო, თორემ სურვილის შესრულება მაშინ გ. ქარჩავას არ გაუჭირდებოდა, რადგან იმხანად ჩვენში წესად არ იყო შემოღე-

ბული უფროსის არაკანონიერი საქმიანობის კრიტიკა და არაწესიერი საქმის არაწესიერად ცნობა.

სურვილის გამოთქმა და შესრულება ერთი იყო.

გ. ქარჩავას გვერდით ცხოვრობდა კოოპინკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე ვ. ნიჟარაძე. მას 39 კვადრატული მეტრის მოცულობის ერთი ოთახი ეჭირა თავისი სათავსოებით. გ. ქარჩავა მოელაპარაკა ვ. ნიჟარაძეს, თავის დაქვემდებარებულ დაწესებულების ხარჯზე ერთი ოთახის ნაცვლად ორ ახალთახალ ოთახს დაპირდა და მისგან თანხმობა რომ მიიღო (ასეთ პი-

რობებს ვინ გაექცეოდა!), თავისი საპატიო თანამდებობა გამოიყენა და ერთი „პატარა“ არაკანონიერი საქმე გააკეთა.

გ. ქარჩავამ „აღმოაჩინა“, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმელების პირველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის აშენებული სახლი (მიანსიკოვის ქ. № 92-ში) სადაცაა ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო.

მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. რობაქიძემ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ფონდიდან დაუთმო ვ. ნიჟარაძეს (იგულისხმება გ. ქარჩავას საკურობისათვის) ოროთახიანი ახალთახალი ბინა, 45 კვადრატული მეტრის მოცულობით. ჯერ მინისტრმა გადასწყვიტა ვ. ნიჟარაძესთან ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ალბათ მიხვდა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. (სად მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სად კოოპინკავშირი!).

მაგრამ ახლა ბინით უკვე ვ. ნიჟარაძე უკმაყოფილო. „მადა ჭამაში მოდისო“, ნათქვამია. იგი ოროთახიან ბინას არ დაჯერდა. „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“ — გაიფიქრა, არც აცხელა, არც აცივა და კიროვის ქ. № 11-ში, მესამე სართულზე, 75 კვადრატული მეტრის მოცულობის ოთხთახიანი ბინა „აღმოაჩინა“, სადაც მოქ. ა. კარაგეზიანი ცხოვრობდა. ვ. ნიჟარაძემ „დათანხმა“ ა. კარაგეზიანი (ეგებ იმაზე აღრე, ვიდრე მსუბუქი მრეწველობის მინისტრისაგან ბინას მიიღებდა!), რათა იგი გადასულიყო ფეხსაცმელების ფაბრიკის ახალ სახლში, ოროთახიანი ბინაში.

იწერება უზარმაზარი არზა თბილისის საბინაო სამმართველოს შესვეურთა ხელმოწერით, რომელშიც ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ამ ბინების არაწესიერი „გაცვლა-გამოცვლის“ თაობაზე.

იწერება რეზოლუციები, იცემა განკარგულებები და საბინაო სამმართველოსათვის უჩვევნი სისწრაფითა და ოპერატულობით იჩარხება საქმე.

და აი, ამ კომბინაციის წყალობით: გ. ქარჩავა ორი ოთახის ნაცვლად ღებულობს სამ ოთახს, სულ 99 კვადრატული მეტრის მოცულობით, ვ. ნიჟარაძე — ერთი ოთახის ნაცვლად — ოთხ ოთახს, 75 კვადრატული მეტრის მოცულობით, ხოლო ა. კარაგეზიანი ოთხ ოთახის ნაცვლად — ორ ოთახს და... ფეხსაცმელების ფაბრიკა № 1-ის საცხოვრებელი ბინით დაუკმაყოფილებელი მუშაკები კი, რომელნიც სრულიად კანონიერად ელოდნენ ახალ ბინას, ამ უკანონო საქციელით კვლავ უბინაოდ დარჩნენ.

გ. ქარჩავას და მის ხელისუფლებით მოეჩვენათ, რომ ამით დაბოლოვდა მათ მიერ იოლად გაჩარხული საქმე, მაგრამ აი, ჩვენ კი... ჩვენ კი გვგონია, რომ ახლა მაინც აუცილებელია ბოლომდე გამოირკვეს, თუ რატომ მოხდა ეს სამსართულიანი დანაშაულობა.

გ. სიმონიძე


ნახ. დონაბა

შვილი თვის წინათ




— ამხანაგო სახლმმართველო, შეათახედ გეკითხები, აიღებთ თუ არა ამ ნაგვის გორას ჩვენს ეზოდან, ბოლოს და ბოლოს სული ხომ არ გინდათ ამოგვხადოთ მთბინადრეებს!

შვილი თვის შემდეგ



— ამხანაგო სახლმმართველო, არამც და არამც ნებას არ მოგცემთ ეს უკვე ტურფად ამწვანებული გორაკი რომ აიღოთ... ბოლოს და ბოლოს სული ხომ არ გინდათ ამოგვხადოთ მთბინადრეებს!



თიქოს მეც მანდ ვკიდაობდი,
მეც ვიბრძოდი, მეც ვეწვალე,—
თქვენთან ერთად გავიშარჯვე,
თქვენს მარჯვენას ვენაცვალე!

ძველი ბრძოლა მომაგონდა,
ძველი ციხე-გალავანი,
ძირს რომ ეგდო მუდამ შაჰის
და ხონთქარის ფალავანი!

ძია ხემის მძლეობანიც
როცა ფეხქვეშ გართმულია,
ხელი მიეც, საქართველო
რაინდობით განთქმულია.

გომართუა მიზრიაული

გამაგრილებელი ისჯორია

ნახ. ი. კოჭიაშვილისა



შათეს წყალი მოსწყურდა,
დაიკავა რიგი და...

რის წვალეობით, მანეთად
შინდის ჩეკი იყიდა.

რიგს როგორ ვერ გაუძლებს,
რა წყალია რა წყალი!..

და „ფინიშთან“ ცივი წყლით
გააგრილეს საწყალი.

812

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1952 წ. 11/VIII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1964 გამოც. № 14. ტირ. 15.000. უფ. 02493.

დაბეჭდილია ფერადი პეჭვის სტამბაში, ბარათაშვილის ქ. № 10/1 შეკ. № 328



ზორბლის მიმღები ზოგიერთი პუნქტი მოსა
ვლის ჩაბარებას მოუზადებელი შეხვდა.

— იი, დედასა! რა დროს მომხსნეს!.. ახეთი დიდი მოსავალი მქონოდა, თორემ პურს რთვორ ვერ დავა-
ბინავებდი!.. ეს ვაუბატონი კი ვერც სხვისთვის გარჯილა და ვერც თავისთვის!